მოსწავლეთა 72-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია

სექცია: გეოგრაფია-გეოლოგიისა და ტურიზმის სექცია

თემა: რატომ ქვემო ქართლი?

ქალაქი: ქუთაისი (იმერეთი)

ავტორები: ბუბა ჯულაყიძე

გიორგი გოგია

სკოლა: სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

კლასი: მე-12

თემის ხელმძღვანელი: ზინა ბუბუტეიშვილი

თარიღი: 2017-2018 სასწავლო წელი

1 .შესავალი

2.ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება . გვ.2

3.ბოლნისის სიონი გვ.3

4.დმანისის სიონი გვ.4

5.პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესია გვ.5

6.ტანძია გვ.6-7

7.ქვეში გვ.8-9

8.მანგლისი გვ.10

9.დაშბაში გვ.11

10.წალკის წყალსაცავი გვ.12

11. ქვემო ქართლი- პრობლემები და განვითარების პერსპექტივები გვ.13

12.დასკვნა გვ.14

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები თბილისი 2008 (შუბითიძე, მაჭარაშვილი ბოლქვაძე)

2. saunje.ge

3. http://ka.wikipedia.org/wiki

4. www.google.ge

5. http://kvemokartli.gov.ge

6. http://elitetravel.ge

რეცენზია: თემა „ რატომ ქვემო ქართლი?“ ასახავს იმ ექსკურსია-პროექტს, რომელიც განახორციელა კადეტთა ლიცეუმმა საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში: „ შეიცან საქართველო შენი“. მასში განხილულია ის ტურისტული ობიექტები, რომლებიც კადეტებმა მოინახულეს, გადმოცემულია ის ემოციები და შთაბეჭდილებები, რაც ამ მხარის ნახვისას დაეუფლათ.

თემის ავტორები: ბუბა ჯულაყიძე და გიორგი გოგია აღნიშნავენ, რომ სამ ეტაპად განხორციელებული ექსკურსია-პროექტი ძალიან საინტერესო მრავალფეროვანი იყო. მათ დაათვალიერეს : ბოლნისის სიონი, დმანისის ნაქალაქარი, წუღრუღაშენი, ელიას მთა, ტანძია, ქვეშის ცისე, მანგლისის სიონი, დაშბაშის კანიონი და წალკის წყალსაცავი.

საკონფერენციო ნაშრომში ნათლად ჩანს მოსწავლეების დაინტერესება მშობლიური კუთხით, აღფრთოვანება ბუნების იმ სიმშვენიერით,რამაც მათი აღტაცება გამოიწვია--განსაკუთრებით დაშბაშის კანიონის მონახულებისას და გამოთქვეს სურვილი, რომ ახლა სხვა მეგობრებთან ერთად მოინახულონ ეს ადგილი, ატვირთონ სოციალურ ქსელში ფოტოები, რათა დაინტერესება თანატოლების მხრიდან მეტი იყოს. ამ პროექტის არსიც ხომ ეს იყო.თუმცა არც პრობლემები დარჩენიათ ყურადღების მიღმა. დაინახეს და გამოკვეთეს ის საკითხები, რომელიც აწუხებს ამ რეგიონს და შემოგვთავაზეს მათი გადაჭრის გზები.

თემას თან ახლავს ექსკურსიის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა (სლაიდ-შოუ). ნაშრომი არის შემოქმედებითი და ანალიტიკური თვალსაზრისით საინტერესო და იმსახურებს კონფერენციაზე წარდგენას ქვემო ქართლის რეგიონის კიდევ უფრო მეტი პოპულარიზაციის მიზნით.

თემის ხელმძღვანელი: / ზ. ბუბუტეიშვილი/

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ეს პატარა კუთხე–კუნჭული, რომელიც 69.700 კმ^2 მოიცავს, სავსეა მრავალფეროვნებით. მასში გაერთიანებულია გამწვანებული მდელოები და გადათეთრებული მთები, ცხოველთა და მცენარეთა ენდემური სახეობები, დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობა. ამიერკავკასიის ამ პატარა ნაწილს ვაზის სამშობლოს უწოდებენ, რომელიც არა თუ ბუნების სილამაზით, არამედ ხალხის სტუმართმოყვარეობითაც გამოირჩევა, მიუხედავად ტექნოლოგიური განვითარებისაგან შექმნილი ეკოლოგიური პრობლემებისა,საქართველოში მაინც არის

შენარჩუნებული ის ჰავა, რომელიც სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, მეტიც, ჩვენ გვაქვს ისეთი კურორტები, რომლებიც არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც პოპულარობით სარგებლობს, აქ ერთმანეთთანაა შეზავებული მთისა და ზღვის ჰავა. ამიტომ, ბუნებრივია,რომ დაინტერესება საქართველოსადმი ტურისტების მხრიდან დიდია , თუმცა უნდა ითქვას, რომ მათთვის პოპულარულია უფრო მთის ან ზღვის კურორტები, რადგან ეს ადგილები უფრო კეთილმოწყობილი და კომფორტულია, ხოლო ისეთი რეგიონი ,როგორიცაა ქვემო ქართლი ნაკლებ პოპულარულია.

საქართველოს კუთხეების უკეთ გაცნობის მიზნით ლიცეუმში მიმდინარეობს პროექტი „შეიცანი საქართველო შენი“, რომელშიც მონაწილეობს 12 სასწავლო ჯგუფი. ჩვენმა სადამრიგებლო ჯგუფმა შეარჩია ქვემო ქართლის რეგიონი, რომელშიც არც არავინ შეგვცილებია, ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ იგი არა მხოლოდ უცხოელებისათვის, თვით ქართველებისთვისაც კი ნაკლებად პოპულარული და ცნობილია. ლიცეუმში ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელშიც ყველა სასწავლო ჯგუფი მონაწილეობდა (300 კადეტი),ამ მხარით დაინტერესება მხოლოდ 2%- მა გამოთქვა, დანარჩენებს სურდათ უფრო „პოპულარული“ რეგიონის (კახეთის, სვანეთის, მონახულება. არადა სწორედ ამ რეგიონში მდებარეობს ბოლნისის სიონი, რომელიც გამორჩეულია უძველესი წარწერით, დმანისის ნაქალაქარი, სადაც უძველესი ჰომონიდების: ზეზვასა და მზიას თავის ქალებია აღმოჩენილი და სხვა მრავალი ღირსშესანიშნაობები, რომელთა შესახებ ჩვენ დღეს ვისაუბრებთ. სწორედ ამიტომ ჩვენ დავგეგმეთ ექსკურსია ქვემო ქართლში. მოვინახულეთ ციხესიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, ღირსშესანიშნაობები და სხვ. მრავალი, გავეცანით რეგიონის პრობლემებს, ვიმსჯელეთ მათი გადაწყვეტის გზებზე და ჩამოვაყალიბეთ ჩვენი ხედვა ამ რეგიონის ტურისტული განვითარების პოტენციალზე. მხარის შესწავლა დავიწყეთ მისი ისტორიის და გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლით ქვემო ქართლი ანი ტაშირ-ძორაგეტის სამეფო ან ლორეს სამეფო შეიქმნა 978 წელს, სამეფოს დაამარსებლის გურგენის, იმავე კორიკეს,(კვირიკეს)სახელის მიხედვით კვირიკიანების ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სამეფოსაც უწოდებენ.ლორე-ტაშირი საუკუნეების მანძილზე ქართველი და სომეხი მმართველების ხელიდან ხელში გადადიოდა, თუმცა უმეტესად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგალითად, იქ შემორჩენილია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და საფლავები, რომლებზეც ქართველთა ნაკვალევი მკვეთრადაა შემონახული. ეს ძეგლებია: ახტალა, ლორეს ციხე, ქობერი, ოსიკაპრი და სხვ. მათგან რამდენიმე მონასტერი იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი.

ეს სომხურ-ქართული სამეფო დასახლებული იყო ქალკედონურ-გრიგორიანული რწმენის მოსახლეობით, სამეფოს კი შირაკის ბაგრატუნთა დინასტიის გვერდითი შტო - კვირიკიანების დინასტია

მართავდა. სომხურ საისტორიო წყაროებში აღნიშნული სამეფო "გუგარქის" სახელით მოიხსენიება. ტაშირ-ძორაგეტის სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა დავით უმიწაწყლოს მმართველობის ხანაში (989—1048), როდესაც სამეფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა თბილისისა და განჯის საამიროთა ხარჯზე და კვირიკიანმა მეფეებმა ცნობილი ქართული ციხესიმაგრე სამშვილდე თავის რეზიდენციად აქციეს, თუმცა 1065 წელს სამშვილდე ბაგრატ IV-მ აიღო და საქართველოს შემოუერთა, ამიტომ სამეფოს პოლიტიკურმა ცენტრმა ლორეში გადაინაცვლა. დავით აღმაშენებელმა სელჩუკებისაგან გათავისუფლებული ლორე 1122 წელს აიღო და ტაშირ-ძორაგეტი უშუალოდ საქართველოს შემოუერთა და სომეხ ფეოდალ მმართველთა საგვარეულო გააუქმა. ისტორიულად ქვემო ქართლის ეს მხარე, როგორც საქართველოს განაპირა ნაწილი, სამართავად გადაეცათ სრულიად საქართველოს მხედართმთავრებს ჯერ ორბელებს, ხოლო 1185 წლიდან მხარგრძელებს .1918 წლიდან სომხეთი გვეცილებოდა ლორეს ოლქს , ინგლისის ჩარევის გამო ბორჩალოს მაზრა გაიყო სამ ნაწილად, სადაც მორიგეობით იდგა ქართულ-სომხური ჯარები, რითაც ისარგებლეს რუსებმა 1921წ და მოაწყვეს პროვოცირებული აჯანყება საქართველოს წინააღმდეგ , რასაც მოჰყვა ჩვენი ქვეყნის გასაბჭოება.1922 წლიდან ლორე-ტაშირი საბჭოთა მთავრობამ სომხეთს გადასცა[1]

შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ და აღვწეროთ ქვემო ქართლი. ის საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს.რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთით-თბილისი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი, აღმოსავლეთით-კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანი,ხოლო სამხრეთით-სომხეთის რესპუბლიკა. ქვემო ქართლის ფართობი 6,5 ათასი კვ.კმ-ია ანუ დაახლოებით ქვეყნის 9 პროცენტი. აქედან გამომდინარე, ფართობის სიდიდით ხუთეულში შედის. ასევე აღსანიშნავია მისი მოსახლეობის სიდიდე -497 ათასი კაცი, ანუ საქართველოს 11 %. ეს რეგიონი გამორჩეულია საკმაოდ ჭრელი ეთნიკური ჯგუფებით. მოსახლეობის 45 % ქართველია, თითქმის ამდენივე აზერბაიჯანელი, 6 % სომეხი, ხოლო დანარჩენი აფხაზი, ოსი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე 76 კაცია. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია რუსთავი. რეგიონი მოიცავს 347 დასახლებულ პუნქტს: 7 ქალაქს, 6 დაბას და 334 სოფელს,რაც ნაწილდება ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტებში. რაც შეეხება ფიზიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს:ქვემო ქართლი განლაგებულია ნახევრად უდაბნო,მშრალი სუბტროპიკული და მაღალმთიანი ალპური ზონის საზღვრებში. მის ლანდშაფტს ძირითადად ველები და ტყე-ველები შეადგენს. მარნეულის ვაკე ადგილებში ვხვდებით

[1] www.google.ge

ნახევარუდაბნოსათვის დამახასიათებელ მცენარეულ საფარს, მტკვრის ჭალებში კი ვხვდებით ჭალის ტყეებს.[2]

რეგიონის შესწავლის მიზნით, ჩვენმა სადამრიგებლო ჯგუფმა ქვემო ქართლში განახორციელა 3 ექსკურსია: პირველ ჯერზე მოვინახულეთ ბოლნისის სიონი და დმანისი, შემდეგ- წულრულაშენის ეკლესია, ელიას მთა, ტანძია და ქვეშის ციხე, ხოლო მე-3 ჯერზე ვინახულეთ მანგლისის სიონი, დაშბაშის კანიონი და წალკის წყალსაცავი. შევეცდებით გადმოგცეთ ის შთაბეჭდილებები თუ მოპოვებული ინფორმაცია, რაც გვაქვს ამ მხარის შესახებ.

ბოლნისის სიონი გახლავთ ის არქიტექტრული ძეგლი, რომელიც მცენარეულ და გეომეტრიული სახეებთან ერთად, სასანური ხელოვნების წრესთან ნათესაობას ამჟღავნებს, გვხვდება ქრისტიანული სიმბოლოს-ჯვრის სხვადასხვაგვარი გამოსახულებანი. ერთ-ერთი „ბოლნური ჯვრის“ სახელითაა ცნობილი.

ბოლნისის სიონში, პირველად ქართულ არქიტექტურაში, გვხვდება აგრეთვე რელიეფური სკულპტურული გამოსახულებანი(ხარის თავი, სხვადასხვა ფრინველი და ცხოველი), რომლებიც წინაქრისტიანულ ხანასთანაა დაკავშირებული, მაგრამ შეთვისებულია ქრისტიანული სარწმუნოების მიერ.

ეკლესიის გვერდით, სამხრეთ-დასავლეთით, დგას XVII საუკუნის სამრეკლო 1936-1939წლებში ჩატარებულ სამუშაოთა შედეგად ძეგლი გათხარეს, შეაკეთეს, გადახურეს და გაამაგრეს. 1967-1969წწ . უძველესი წარწერის პირი ჩადგეს თავის ადგილას, დააგეს ქვის ახალი იატაკი. ბოლნისის სიონში გაჩაღებული იყო მწიგნობრული საქმიანობა. ცნობილია ბოლნელ ეპისკოპოსთა ინიციატივით დამზადებული ხელნაწერები. X-XI საუკუნეებში იქ მოღვაწეობდა იოანე ბოლნელი.

დმანისის სიონი - VI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპისა, სოფ. პატარა დმანისის მახლობლად, ნაქალაქარ დმანისში. საშენი მასალისა და მორთულობის ხასიათით უახლოვდება ბოლნისის სიონსა და ქვემო ბოლნისის სამეკლესიან ბაზილიკას. ტაძარი შიგნიდან მოხატული ყოფილა - საკურთხეველში შემორჩენილია წმინდანთა გამოსახულებანი და წარწერები. მოგვიანებით, 1213-1222 წლებს შორის, ლაშა-გიორგის მეფობაში დასავლეთიდან ტაძრისათვის მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭე მიუშენებიათ, კარიბჭის ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია ლაშა-გიორგი.

---

2 -http://ka.wikipedia.org/wiki

დმანისის სიონის აღმოსავლეთ მხარეს აღმართულია გეგმით ოთხკუთხა სამრეკლო, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით წმ. მარინეს მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესიაა, რომელიც, წარწერის თანახმად, განახლებულია 1702 წელს, დმანისის სიონთან ერთად მოვინახულეთ დმანისის უძველეს ადამიანთა ნაქალაქარიც.[3]

დმანისი - (ყოფილი *ბაშკიჩეთი*, გადაერქვა 1947 წლის 18 მარტს) — მდებარეობს დმანისის ვულკანურ პლატოზე, მდინარე მაშავერის ორივე ნაპირზე, დმანისის ტერიტორიაზე VI-VIII საუკუნეებში მცირე დასახლება იყო, სადაც საეპისკოპოსო კათედრალი მდებარეობდა. როგორც ქალაქი, წყაროებში პირველად IX საუკუნეში იხსენიება, ამ დროს მას არაბები ფლობდნენ. XI ს-ის 80-იან წლებიდან სელჩუკთა ხელშია, 1123 წელს დავით IV აღმაშენებელმა გაათავისუფლა. დმანისი განსაკუთრებით დაწინაურდა XII-XIII სს-ში. XVI ს-დან ქალაქი დაცემის გზაზეა, მოიშალა ეკონომიური ცხოვრება, შემდეგ კი სულ გაპარტახდა და გაუკაცრიელდა. 1924-1947 წლებში მას ბაშკიჩეთი ეწოდებოდა. ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1981 წელს. მოსახლეობა 3,4 ათასი (2002წელს) [4]

თანამედროვე დმანისის ახლოს არის ამავე სახელწოდების ქალაქი-სიმაგრის ნანგრევები (VI-XV სს.), სახლების, ქუჩების, ღვინის სარდაფებისა და სხვა ობიექტების ნაშთები. დმანისის არქეოლოგიური შესწავლა 1936 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. აქ აღმოჩენილია ევროპაში ყველაზე ძველი ადამიანის ნაკვალევი — თავის ქალა, რომლის ასაკი 1,6 მილიონი წლით განისაზღვრება, მათ მოგვიანებით ჰომო გეორგიკუს შეარქვეს. დღესდღეობით უკვე ხუთი თავის ქალაა აღმოჩენილი.[5]

პირველი ექსკურსიის შემდეგ მოუთმენლად ველოდით ჩვენი პროექტის შემდგომ ეტაპს. შემართებაც მეტი იყო და დაინტერესებაც. მეორე ექსკურსიის მარშრუტი ასე გამოიყურებოდა: წუღრუღაშენი-ელიას მთა-ტანძია და ქვეშის ციხე. წუღრუღაშენი XIII ს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია, ეკლესიაში წარწერებში მოხსენიებული არიან მეფე ლაშა-გიორგი და ეკლესიის მშენებელი ჰასან არსენის ძე, ჩრდილოეთით მიშენებული აქვს საგვარეულო საძვალე-ეგვტერი, ეს არის საქართველოში ერთადერთი ტაძარი, რომელსაც ყველაზე მაღალი გუმბათის ყელი აქვს მისი ნახვისას არაამქვეყნიური სიმშვიდე გეუფლება, დასახლებული მოშორებით მდგარი ტაძარი, ბერების ჩუმი ფუსფუსი, გამეფებული სიმშვიდე სულიერად გავსებს და გამშვიდებს ტაძრის მდიდარი ჩუქურთმები და განსაკუთრებული სიფაქიზით გამოყენებული ფერადი ქვები: ოქროსფერი, ღვინისფერი და ცისფერი კი ამ ემოციას უფრო ამძაფრებს.

[3] http://ka.wikipedia.org/wiki
[4] http://elitetravel.ge
[5] -saunje.ge

ტაძრიდან გეზი ავიღეთ ელიას მთაზე ახლად აგებული პეტრე-პავლეს ეკლესიისკენ, შთაბეჭდილებებით დახუნძლულს თუ კიდევ რაიმე გაგვაკვირვებდა ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ ჩვენს ემოციებს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ელიას მთას მივუახლოვდით, გრანდიოზული და დიდებული ამაყად დგას ელიას მთაზე, ტაძრიდან საოცარი ხედი იშლება ხელისგულივით ჩანს მთელი მიდამო, რომელიც ნისლში იყო გახვეული, გვეგონა თითქოს ღრუბლებს ზემოთ ვიყავით, თუ წულრულაშენმა თავისი არქიტექტურითა და სიმშვიდით მოგვხიბლა, პეტრე-პავლეს ტაძარმა გრანდიოზულობითა და ბურუსით დაგვატყვევა, არადა ეს ტაძარი სულ ახლახანს აშენდა და სამუშაოები დღესაც გრძელდება.

ბოლნისში მდებარე წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესია, კვარცხლბეკივით ამაღლებულ მთაზეა აგებული. გადმოცემით, ამ ადგილს წმინდა ელიას მთას ეძახდნენ. აქ ოდითგანვე ტაძარი იდგა, რომელიც წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ყოფილა. ბოლნელი ეპისკოპოსის მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით, ნატაძრალზე აიგო მოციქულების სახელზე ტაძარი და აქვე დაფუძნდა მამათა მონასტერი.

გადმოცემით პეტრე-პავლობას, 12 ივლისს, გასულ საუკუნეში განსაკუთრებით ბოლნისში მცხოვრები ბერძენი მოსახლეობა აღნიშნავდა, ქართველები უფრო ნაკლებად. მათი საქართველოდან წასვლის შემდეგ შეწყდა აქ ხალხის მსვლელობაც და ღვთისმსახურებაც. ტაძარიც ნანგრევებად იქცა, აქ მხოლოდ სანთლებს ანთებდნენ და საკლავს კლავდნენ. უფრო მეტად მაინც დარჩენილი ბერძენი მოსახლეობა აქტიურობდა.

2008 წელს, ზედ კლდეზე გაიჭრა ტაძრის პირველი საძირკველი. დაიწყო ჯვარგუმბათოვანი ტაძრის მშენებლობა, რომელიც 2015 წლის 24 ოქტომბერს დასრულდა და საზეიმოდ იკურთხა.

ტანძია - სოფელი ქვემო ქართლში. 2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 518 კაცი. ტანძიაში დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი, აქვეა მისი სახელობის ლიტერატურული მუზეუმი. სოფ. ტანძია XIV ს-ის პირველ ნახევარში შეუსყიდია ქავთარ ქაჯფაძეს და შეუწირავს ფიტარეთის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის. 1559 წ. სიმონ მეფემ (1556-1600) განუახლა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ტანძიელნი მათი მამულითურთ. 1721 წ. აღწერით ტანძია საყაფლანიშვილოს სოფელია და იქ იყო მათი ზვრები. ცხოვრობდა 39 კომლი.

ტანძიაში დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი(1658 წ), აქვეა მისი სახელობის ლიტერატურული მუზეუმი.

სოფელში შემონახულია ორი ეკლესია და სასახლის ნანგრევები. ერთი ეკლესია აუგია პაპუნა ორბელიანს 1670 წელს, ხოლო მეორე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესია – სულხან-საბას მამას, ვახტანგ მდივანბეგს.[6]

[6] http://ka.wikipedia.org/wiki

ტანძიის მონახულებამ თითოს გააცოცხლა ჩვენს გონებაში სულხან–საბას მოღვაწეობის მთელი პერიოდი, დაგვაფიქრა იმ პერიოდის საქართველოს ბედზე, ავტობუსში ამ საკითხზე საუბარიც კი დავიწყეთ, გაიმართა სჯა–ბაასი და დისკურსიები ვახტანგ VI ისა თუ სულხან–საბას მიერ გადადგბულ ნაბიჯებზე და ვერც კი გავიგეთ ისე მივუახლოვდით ქვეშის ციხეს.

ქვეშის ციხე შუა საუკუნეების ციხესიმაგრე, ქვემო ქართლში, მდ. მაშავერის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ქვეშის მახლობლად). აშენებულია ველზე ამოზიდულ, თითქმის ყოველი მხრიდან მიუვალ მაღალ კლდეზე. თავისი მდებარეობოით იგი სამშვილდიდან ტაშირისა და ზურტაკეთ–ჯავახეთის მიმართულების გზებს აკონტროლებდა.

ქვეში მნიშვნელოვან სიმაგრედ რჩებოდა XVI ს. ბოლოსთვისაც, რაზეც მიანიშნებს მისი არჩევა ქართლის მეფის ძირითად რეზიდენციად. თუ აქამდე ქვემო ქართლი იყო სამხრეთიდან შემოსული მტრისთვის ის ადგილი, რომელიც თავის თავზე იღებდა მომხდურთა პირველ დარტყმებს. ამ დროიდან, მას შემდეგ ,რაც შაჰ–აბას I–მა ქართლს მდინარე დებედას ხეობა ჩამოართვა და იქ ბორჩალოს თურქმანული ტომი ჩაასახლა, მაშავერას ხეობის ციხეებმა კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინეს. XVII–XVIII სს, ქვეშის ციხე საორბელიანოს მნიშვნელოვანი ციხე–სიმაგრე იყო, მისი მიმდებარე ტერიტორია ამ დროისთვის ჯერ კიდევ მხოლოდ ქართველებით ყოფილა დასახლებული, XVIIს. 40–იან წლებში ციხეში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა მსახურთუხუცესმა ქაიხოსრო ორბელიშვილმა, XVIII ს. ბოლოსთვის ქვემო ქართლი აოხრდა და გაპარტახდა, შესაბამისად ქვეშის ციხეც დაცარიელდა. XIX დასაწყიში იგი უკვე რუსების ხელშია მაგალითად, 1812 წელს ალექსანდრე ბატონიშვილის აჯანყების დროს ქვეშის ციხეში კავკასიის მთავარმმართებლის ტორმასოვის ჯარის ნაწილი იდგა. [7]

ციხის დათვალიერებისას გული სევდით ამესო. დგას ეს მრავალჭირგაამოვლილი, ხავს –მოკიდებული, დაცარიელებული, ყველასგან მიტოვებული ციხე და ამაყად გადმოჰყურებს გარემოს თითქოს გვახსენებს მის მნიშვნელობასა და წარსულს, აღარ ჩანან მოთარეშეთა რაზმები სპარსთა თუ მონღოლთა, არაბთა თუ სელჩუკთა, მაგრამ ეკლესიამონასტრებმა თუ ციხესიმაგრეებმა გაუძლეს ჟამთასვლას და ის ჩვენი დღევანდელობაა, ხიდი წარსულსა და აწყმოს შორის.

პროექტის დასკვნითი ეტაპისათვის უფრო საგულდაგულოდ მოვემზადეთ, წინასწარ გავეცანით ლიტერატურას იმ ადგილების შესახებ, რის ნახვასაც ვაპირებდით. ქვემო ქართლში მე–3 ექსკურსიის დროს მოვინახულეთ შემდეგი ტურისტული ადგილები: მანგლისის სიონი, დაშბაშის კანიონი და წალკის წყალსაცავი, მანგლისის სიონი ქართული მართლმადიდებლური საკათედრო ტაძარი. ისტორიული წყაროების მიხედვით, ამ ადგილას პირველი ქვის ტაძარი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად

[7] –ქართული ციხე–სიმაგრეები და ეკლესია–მონასტრები თბილისი 2008 (ვაჟა შუბითიძე, მაჭარაშვილი ბოლქვაძე)

გამოცხადების პერიოდში - IV საუკუნის 30-იან წლებში აგებულა. ლეონტი მროველის თანახმად, კონსტანტინე კეისრის მიერ მირიან მეფისათვის გამოგზავნილი ეპისკოპოსი იოანე, რომელსაც წმინდა რელიკვიები და უხვი განძეულობა მოჰქონდა საქართველოში ეკლესიათა ასაშენებლად, მცხეთაში ჩასვლამდე მანგლისში დაყოვნებულა, ტაძრის აშენება დაუწყია და ქრისტეს წმინდა ჯვრის ნაწილიც დაუტოვებია. V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ საეპისკოპოსოებს შორის მანგლისი რიგით მეოთხედ მოიხსენიება.

VII საუკუნეში მანგლისი ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს შემოსევის დროს აოხრებულა და აქ დაცული სიწმინდეებიც გაუტაცებიათ. ისტორიული წყაროები მანგლისის შესახებ XI საუკუნის პირველ მეოთხედამდე ანუ გიორგი I-ის (1014-1027წწ) მეფობის ხანამდე დუმან. მანგლისის სიონმა საბოლოო ცვლილებები (რომლებითაც დღემდე მოაღწია) განიცადა XIX საუკუნის შუა ხანებში, რუსული მმართველობის დროს, ეგზარქოს ისიდორეს ინიციატივითა და ადგილობრივი რუსული პოლკის ოფიცრების მცდელობით. ჯერ ლეკების თავდასხმებით, შემდეგ კი აღა-მაჰმად ხანის ლაშქრობის შედეგად დაზიანებული ტაძარი გაწმინდეს და შეაკეთეს. მართალია. ამის შემდეგ წირვა-ლოცვა აღდგა, მაგრამ ტაძრის ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი სამუდამოდ დაიკარგა.

თაღოვანი კარიბჭე დასავლეთ ფასადის მთავარი აქცენტია. ეს კარიბჭე XIX საუკუნეში შეაკეთეს, რაზეც მიუთითებს როგორც რუსული წარწერა რესტავრაციის შესახებ, აგრეთვე გადაწყობილი ქვებით შექმნილი ერთგვარი სიჭრელე. შესასვლელის მაღლა ორ რომბზე დამდგარი ჯვარია გამოსახული.

სამხრეთ ფასადიდან აღსანიშნავია ორთავიანი არწივის ჰერალდიკური გამოსახულება შესასვლელის მაღლა მდებარე ჯვრის თავზე, რომელსაც ერთ კლანჭში ჯვარი უჭირავს, ხოლო მეორეში - სკიპტრა. იგი XIX საუკუნის რესტავრაციის დროინდელია. იგივე მოტივი მეორდება ტაძარში, საკურთხევლის მოპირდაპირედ მდგარ ხის საპატრიარქო ტახტზეც. ზოგადად, ინტერიერში რუსული ხატების სიმრავლეც ცხადყოფს რაოდენი გავლენა მოახდინა რუსული პოლკის ხანგრძლივმა მფლობელობამ.

ქრისტიანული ტრადიცია მანგლისის სიონს რამდენიმე მნიშვნელოვან სიწმინდეს უკავშირებს, მათ შორის უფლის სამსჭვალსა და წმინდა ჯვრის ნაწილებს. აქვეა დაბრძანებული იოანე მანგლელის თანმხლები სასწაულთმოქმედი ხატი - მანგლისის ღვთისმშობელი. გადმოცემის თანახმად, სამხრეთ შესასვლელის პირდაპირ მდებარე ქვის ჯვრის ქვეშ თევდორე კველთელის ნაწილები განისვენებს[8].

მანგლისიდან გეზი დაშბაშის კანიონისკენ ავიღეთ, ჩვენი ერთ-ერთი კადეტი ლუკა ფაჩულია, რომელიც ნამყოფი იყო აქ, შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა და გვარწმუნებდა, რომ ეს იყო ულამაზესი

[8] ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები თბილისი 2008 (ვაჟა შუბითიძე, მაჭარაშვილი ბოლქვაძე)

ადგილი და წუხდა იმის გამო, რომ ზაფხულის სეზონი არ იყო და ბანაობას ვერ შევძლებდით, თუმცა ზოგიერთი ჩვენგანი ეჭვის თვალით შეჰყურებდა ლუკას და ეტყობოდა, რომ ბოლომდე არ იზიარებდა მის შთაბეჭდილებებს.თანაც უკვე იმდენი ემოცია დაგროვდა, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

კანიონი გამომუშავებულია ვულკანურ (ბაზალტური ლავის) ქანებში, რომლითაც აგებულია მიმდებარე წალკის პლატო და ხრამის მასივი. მისი რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლის ფერდობებს კანიონის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებული დახრილობა ახასიათებს.
კანიონი მერიდიანული მიმართულებისაა. მისი სიგრძე 8 კმ-ს აღწევს. კანიონის ფარგლებში გაბატონებულია ზომიერად ნოტიო ჰავა. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა საკმაოდ მაღალია, რაც ჰავის კონტინენტურობაზე მიუთითებს, კანიონი ბუნებრივი მრავალფეროვნებით და ეფექტური პეიზაჟებით გამოირჩევა. მის ფერდობებზე მიწისქვეშა წყლების მრავალი გამოსასვლელი და ჩანჩქერია. გვხდება როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის მიერ გამოკვეთილი გამოქვაბულები.

კანიონის ფარგლებში და მის სიახლოვეს წარმოდგენილია რამდენიმე ტიპის ლანდშაფტი: ვულკანური კონუსები და პლატოები, ფართოფოთლოვანი (წიფლნარი, რცხილნარ-მუხნარი, რცხილნარი) ტყეები და მაღალი მთის სტეპები, კლდის ქსეროფიტული მცენარეულობა და დერივატები, მეორადი მდელოები და ბუჩქნარები. ხეობა მრავალი სახეობის ცხოველის თავშესაფარი და გამრავლების ადგილია. იგი მნიშვნელოვანი ეკოლოგიური კორიდორია, რომლის მეშვეობით ერთმანეთს უკავშირდება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ცხოველთა სამყაროს არაერთი სახეობა.

დაშბაშის კანიონის ძირითადი არტერია მდინარე ხრამია. მისი ხეობა არაერთი გეოგრაფიული თავისებურებით გამოირჩევა. სათავეში ქციის სახელწოდებით მოედინება, ხოლო წალკის წყალსაცავიდან გამოდინებისას ხრამად იწოდება. მან მილიონობით წლის მანძილზე ვულკანური მასივის ფარგლებში არაერთი კანიონი გამოიმუშავა, რომელთაგან ზოგი გაუვალი და უდაბურია. ქცია სათავიდან წალკის წყალსაცავთან შეერთებამდე კლასიკური მთის მდინარეა, რომელიც ბოლო კანიონიდან გამოსვლისთანავე მდორედ მიედინება ქვემო ქართლის ვაკეზე. ხრამის კანიონები საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტურიზმის საუკეთესო ობიექტია, რომლის ფერდობებზე კარგად ჩანს რეგიონის გეოლოგიური განვითარების ისტორია. [9]

როდესაც მივადექით დაშბაშს თავდაპირველად უარყოფითი განწყობა დაგვეუფლა, ჩვენ წინ გაშლილი დაღმართი და ტალახიანი გზები იქ ჩასვლის ყოველგვარ სურვილს გვიკარგავდა, მაგრამ მასწავლებლის თხოვნით მაინც ჩავედით და დღემდე კმაყოფილი ვართ, რომ მოგვეცა საშუალება გვენახა ულამაზესი ადგილი, შთაბეჭდილებები იმდენად დიდი იყო, რომ დღემდე მოგვყვება. პირადად მე ერთი

[9] http://kvemokartli.gov.ge

სული მაქვს, როდის მოვა ზაფხული, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად კვლავ ვნახო ეს ადგილი და დავარწმუნო ისინი, რომ ქვემო ქართლი მართლაც ტურისტულად მიმზიდველი რეგიონია.

წალკის წყალსაცავი სარკის ფართობით საქართველოს უდიდესი წყალსაცავია, მაქსიმალური სიღრმე 25 მ, საშუალო სიღრმე 9,3 მ. საზრდოობს ხრამისა და სხვა პატარა მდინარეთა წყლით, აგრეთვე მიწისქვეშა, თოვლისა და წვიმის წყლით. შექმნილია ბეტონის კაშხლით ვიწრო და ღრმა ხეობაში, ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოიყენეს 1946 წელს. დაბალი დონე აქვს თებერვალ-მარტში. წყლის დაგროვება იწყება აპრილში და გრძელდება ივლისამდე, შემდეგ ხდება წყლის ხარჯვა. დონე ინტენსიურად იკლებს ნოემბრიდან, როდესაც ჰესები მთელი სიმძლავრით. წალკის წყალსაცავთან სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ და გულდაწყვეტილები დავბრუნდით უკან, რადგან ამით ჩვენი ექსკურისა ამ რეგიონში დასრულდა, არადა კიდევ რამდენი რამეა სანახავი აქ, რომელიც ყველა ქართველმა უნდა ნახოს და შეისისხლხორცოს.

განვითარების კარგი პერსპექტივები გააჩნია ქვემო ქართლს. მისი სიახლოვე თბილისთან, თბილისის აეროპორტთან და აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან , მისი მდებარეობა სატრანსპორტო კორიდორების გადაკვეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოკორიდირის ზონაში და ურბანიზაციის მაღალი დონე რეგიონს განვითარების კარგ შესაძლებლობას უქმნის, მაგრამ რაღაც მაინც აფერხებს ამ მხარის გაძლიერების პროცესს.ამის მიზეზი რამდენიმეა, მათ შორის:ეთნიკური სიჭრელე, ტურისტული პოტენციალის გამოუყენებლობა, მიწების აუთვისებლობა და ა.შ. შევეცდები სათითაოდ და უფრო კონკრეტულად განვიხილო ისინი.

სამწუხაროა,რომ საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ კუთხეში ეროვნებით ქართველთა ხვედრითი წილის ასეთი სიმცირე. ისტორიულმა ვითარებამ მოგვცა ის, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობისთვის ქართული ენა, მისი მნიშვნელობითა და გამოყენებით უკანა პლანზეა, ექსკურსიის დროს შევესწარით გულსატკენ ფაქტს: ბოლნისის ერთ-ერთ რიგით მარკეტს წარწერა სამ ენაზე ჰქონდა, ესენი იყო: აზერბაიჯანული, რუსული და ქართული. ეს უკანასკნელი ყველაზე დაბლა და ყველაზე პატარა შრიფტით ეწერა. ეს კი მოსახლეობისთივს ქართული ენის მეორე ხარისხოვნებაზე მეტყველებს. ჩვენი ვარაუდი განამტკიცა შემდეგმა ფაქტმაც: ადგილობრივებთან დიალოგი ძალიან გაგვიჭირდა იმ მომენტამდე, ვიდრე რუსულად არ გავუმეორეთ იგივე კითხვები, თუმცა მინდა აღნიშნო, რომ ეს ძირითადად უფროსი თაობას შეეხება, ხოლო ახალგაზრდებას, ისინი სწავლობენ ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ მხრის განვითარებისთვის. ჩვენი აზრით, ასევე დიდი პრობლემაა ახალგაზრდა აზერბაიჯანელი გოგონებისთვის ნაადრევი ქორწინება, რომელიც დღემდე არ შეცვლილა, ამ მხრივ ვფიქრობთ, რომ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, უნდა მოხდეს

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით განსაკუთრებით უფროს თაობებში, რადგან მათი გავლენა შვილებზე ძალიან დიდია, ისინი იმ მენტალიტეტით იზრდებიან, რომ სწავლა არაა აუცილებელი ქალისთვის და მისთვის მთავარი ოჯახის შექმნაა, ეს კი ძალიან ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას არ აძლევს განვითარების საშუალებას .

რეგიონში განსაკუთრებით კარგი პირობებია სხვადასხვა კულტურის: საადრეო კარტოფილისა და ბოსტნეულის ,მარცვლეულის, ხილის, ყურძნის, ბაღჩეულის, მრავალწლიანი ბალახებისა და სხვა კომერციულად საინტერესო პროდუქციის საწარმოებლად. გულსატკენია, რომ მიწის დიდი ნაწილი აუთვისებელია. აღსანიშნავია,რომ რეგიონში აღრიცხული არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი .ცუდი სიტუაციაა სარწყავი სისტემების მხრივაც. ის ავარიულია და სერიოზული შეკეთებასაც მოითხოვს. არხებს ესაჭიროებათ გაწმენდითი სამუშაოები, რის შედეგადაც, რა თქმა უნდა, გაიზრდება მოსავლიანობა. არადა ეკონომიკის განვითარება ხომ ადგილობრივთა დასაქმებით, მათი შემოსავლის გაზრდით , ქართული ბაზრის ადგილობრივი პროდუქციის მატებითა და ექსპორტის გაზრდით მიიღწევა, ამას კი, ჩვენი აზრით, სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან თანადგომა და დახმარება.

დასკვნის სახით გვინდა წარმოგიდგინოთ პუნქტობრივი ჩამონათვალი ქვემო ქართლის პრობლემებსა და მის პოტენციალზე:

1. ტურიზმი - ტურისტული განვითარების თვალსაზრისით ქვემო ქართლი დიდ შესაძლებლობებს ფლობს. ამ კუთხის ბუნებრივ- გეოგრაფიული მდებარეობა, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობა და ისტორიული ძეგლები ქმნის რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას, მაგრამ ვანდალიზმის უხვი ფაქტები და შეუსაბამო ინტერიერი აქვეითებს ტურისტების რაოდენობას.
2. ეკონომიკის განვითარება - ექსკურიის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სიმრავლემ, ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით შესაძლებელია აშენდეს ხორცისა და რძის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც ადგილობრივთა შემოსავალს კიდევ უფრო გაზრდის.
3. ტურისტული სააგენტოების თითქმის არარსებობა ამ რეგიონს დიდად აზარალებს. არადა კარგი იქნება ,თუ ამ მიმართულებით იქნება ნაბიჯები გადადგმული, რომელიც გაზრდის რეგიონში როგორც ტურისტთა სიმრავლეს ,ასევე სამუშაო ადგილებს.
4. ინფრასტრუქტურა - იქაც კი, სადაც ტურისტული ობიექტებია, არასაკმარისადაა ყურადღება მიქცეული მათ რეაბილიტაციაზე, უყურადღებოდ მიტოვებული დაშბაშის კანიონი, სადაც ჩასასვლელი გზაც კი არაა, ასევე ვანდალიზმის ფაქტები, რომელსაც ყურადღება ჯეროვნად არ ექცევა, ან თუნდაც დმანისის

ნაქალაქარში მოუწყობელი და დაუსუფთავებელი გარემო, ანალოგიური ვითარებაა ტანძიაშიც. ტურისტებისთვის ეს ადგილი ნაკლებად მიმზიდველია.

ამიტომაც კარგი იქნება ,თუ ამ პრობლემებს საბოლოოდ გადავჭრით და ქვემო ქართლს ვაქცევთ ერთ-ერთ მოწინავე ტურისტულ რეგიონად და ბოლოს რატომ მაინც და მაინც ქვემო ქართლი? ჩვენ ვეცადეთ ამ კითხვაზე ამომწურავად გაგვეცა პასუხი, ჩვენი მიზანი იყო გაგვერცელებინა ინფორმაცია, თუ რა პრობლემებისა და პოტენციალის მქონეა ქვემო ქართლის რეგიონი. ამ მიზნის მისაღწევად პირველი ნაბიჯი გადავდგით, როდესაც კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კლუბში მოვაწყვეთ ჩვენი ექსკურსიის შესახებ პრეზენტაცია და გავაცანით დამსწრე საზოგადოებას ამ მხარის პრობლემები და პერსპექტივები, ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა: შეეცვალათ თუ არა წარმოდგენა ამ რეგიონის შესახებ. გაიგეს თუ არა რაიმე ახალი ამ მხარეზე და სურთ თუ არა მომავალში მისი მონახულება, შედეგები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.უდიდესი კმაყოფილება ვიგრძენით, რადგან მივხვდით, რომ ჩვენმა პროექტმა დასახულ მიზანს მიათწია. მოსწავლეებმა გაიგეს ახალი ინფრომაცია ამ მხარის შესახებ და დაახლოებით 25%-ი აპირებს ამ რეგიონის მონახულებას. ჩვენი შემდეგი ნაბიჯი კი არის რეგიონის პოპულარიზაცია ტურისტული მიმართულებით, რა მიზანსაც ემსახურება ჩვენი მოკრძალებული თემა., ვიმედოვნებთ ჩვენ ეს შევძელით !.

თემას თან ერთვის დისკი , რომელზეც ასახულია ჩვენი მარშრუტი სლაიდ-შოუს სახით.